საქართველოს კანონი
გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია გარემოზე ნებისმიერი სახის ზიანის მიყენების პრევენციისა და შერბილების/აღმოფხვრის სამართლებრივი რეგულირება, „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს გარემოზე ზიანის მიყენების პრევენციასა და შერბილებასთან/აღმოფხვრასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება გარემოზე ზიანის მიყენების ისეთ შემთხვევაზე რომელიც გამოწვეულია:

ა) ფორსმაჟორული სიტუაციით, ასევე ისეთ ღონისძიებებით, რომელთა მიზანია ფორსმაჟორული სიტუაციის პრევენცია/შერბილება/აღმოფხვრა

ბ) შეიარაღებული კონფლიქტით;

გ) ეროვნულ უსაფრთხოებასთან/თავდაცვასთან ან/და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოქმედებებით.

3. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) შემთხვევებზე, რომელსაც არეგულირებს საქართველოს საერთაშორისო შეთანხმება, თუ ამ შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს;

ბ) შემთხვევაზე, როდესაც შეუძლებელია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი;

გ) კერძო მესაკუთრისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაზე, რაც არ გამორიცხავს კერძო მესაკუთრის უფლებას, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, მოითხოვოს ზიანის მიმყენებლისაგან ზიანის ანაზღაურება;

დ) შემთხვევაზე, რომელიც გამოწვეულია დიფუზიური ხასიათის ემისიებით (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება), როდესაც შეუძლებელია დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და ზიანის გამომწვევ კონკრეტულ ქმედებას შორის;

ე) ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ამ კანონის ამოქმედებამდე განხორციელებული ქმედებით და შეუძლებელია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირს დადგენა ან ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი

კანონმდებლობის შესაბამისად ლიკვიდირებულია ან/და არ ჰყავს შესაბამისი უფლებამონაცვლე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **გარემო** – ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;

ბ) **გარემოზე მიყენებული ზიანი** – სამრეწველო ავარიის ან/და ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად გარემოზე მიყენებული უარყოფითი ზემოქმედება. გარემოზე მიყენებულ ზიანად არ ჩაითვლება გარემოზე ისეთი უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც წინასწარ იყო განსაზღვრული და აღნიშნულ ქმედებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული იყო შესაბამისი უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტი ან თანხმობა;

გ) **სამრეწველო ავარია** – აფეთქება, ხანძარი ან საშიში ნივთიერების (ნივთიერებების) მასშტაბური გაჟონვა, რომელიც გამოწვეულია ობიექტზე ტექნოლოგიური (საწარმოო) პროცესების უკონტროლო განვითარებით და რომელიც უეცარ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და გარემოს როგორც ობიექტის შიგნით, ისე მის გარეთ.

ე) **ფორსმაჟორული სიტუაცია** – კონკრეტულ ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენა (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა ან სხვა, მსგავსი მოვლენა), აგრეთვე ისეთი კრიზისული ვითარება, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფით და რომლის შედეგია მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების დარღვევა.

ვ) **გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი** – გარემოზე, კერძოდ, ბიომრავალფეროვნებაზე ან/და მიწაზე ან/და სასარგებლო წიაღისეულზე ან/და წყლის (მათ შორის მიწისქვეშა) ობიექტზე მიყენებული ისეთი ზიანი, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ და გარემოს დაზიანების დონე შეესაბამება ამ კანონის დანართი 1-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

ზ) **მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა** - თუ მნიშვნელოვანი ზიანი გამოწვეულია ამ კანონის დანართი - 2-ით გათვალისწინებული საქმიანობიდან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებელს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

ეკისრება მიუხედავად მისი ბრალეულობისა. აღნიშნულ შემთხვევაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის ბრალეულობის დამტკიცების საჭიროება არ არსებობს;

თ) **გარემოსდაცვითი ზიანის ფონდი (შემდგომში - ფონდი)** - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 27-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება, რომლის შევსებისა და მართვის წესი განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და ამ კანონის საფუძველზე.

ი) **კომისია** - საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ფონდში აკუმულირებული თანხების ფარგლებში გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გადაწყვეტილებების მიღებას;

კ) **პირი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი;

ლ) **მინისტრი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;

მ) **სამინისტრო** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ნ) **დეპარტამენტი** - სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;

თავი II. ძირითადი დებულებები

მუხლი 4. ზიანის პრევენცია

1. საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, გარემოზე ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხის წარმოშობისთანავე, დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ დეპარტამენტს სამინისტროს ცხელი ხაზის მეშვეობით და გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება ზიანის პრევენციისთვის.

2. გარემოზე ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხის ან ასეთი საფრთხის წარმოშობის გონივრული ეჭვის შესახებ ნებისმიერი პირის მიერ დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, დეპარტამენტი უფლებამოსილია საქმიანობის განმახორციელებელს მოსთხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ასეთ საფრთხესთან დაკავშირებით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დეპარტამენტი უფლებამოსილია, საქმიანობის განმახორციელებელ პირს:

ა) განუსაზღვროს სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებები ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის;

ბ) მოსთხოვოს ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;

4. საქმიანობის განმახორციელებელ პირს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუსრულებლობისათვის ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ამავე დროს დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ. სპეციალური მმართველის ინსტიტუტი არ გამოიყენება ინდივიდუალურ მეწარმესთან მიმართებაში.

5. ზიანის პრევენციის/შერბილების ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას ახორციელებს დეპარტამენტი.

მუხლი 5. გარემოზე ზიანის მიყენებისას განსახორციელებელი ღონისძიებები

1. გარემოზე ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) გარემოზე მიყენებული ზიანის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს სამინისტროს ცხელი ხაზის მეშვეობით და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია;

ბ) განახორციელოს საჭირო ღონისძიებები გარემოზე მიყენებული ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად;

გ) განახორციელოს გამასწორებელი ღონისძიებები ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად;

დ) საკუთარი ხარჯებით და პასუხისმგებლობით განახორციელოს დეპარტამენტის მიერ დადგენილი პრევენციული და გამასწორებელი ღონისძიებები;

ე) აანაზღაუროს გარემოს დაზიანების შეფასების, მონიტორინგის, ზედამხედველობისა და დეპარტამენტის მიერ გაწეული სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

ვ) გამასწორებელი ღონისძიებების დადგენილი წესით დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ფონდში ჩარიცხოს თანხა გამასწორებელი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ღონისძიებების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

2. დეპარტამენტი უფლებამოსილია, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს:

ა) მოსთხოვოს ინფორმაცია გარემოზე მიყენებული ზიანის შესახებ;

ბ) მოსთხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ან/და განუსაზღვროს სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებები;

გ) მოსთხოვოს აუცილებელი გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად;

მუხლი 6. გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

1. გარემოზე ზიანის მიყენების შემთხვევაში დეპარტამენტი აფასებს სახეზეა გარემოზე მიყენებული ზიანი თუ გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი (შემდგომში – მნიშვნელოვანი ზიანი). გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასების წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

2. მნიშვნელოვანი ზიანის კრიტერიუმები განსაზღვრულია ამ კანონის დანართი – 1-ით.

3. ზიანის შეფასებისას დეპარტამენტი უფლებამოსილია მოიწვიოს ექსპერტები ან შეისყიდოს შესაბამისი საექსპერტო მომსახურება. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია თავადაც შეაფასოს ზიანი და შეფასების შედეგები განსახილველად წარუდგინოს დეპარტამენტს.

4. გადაწყვეტილება ზიანის ამა თუ იმ სახის (ზიანი/მნიშვნელოვანი ზიანი) არსებობის შესახებ დეპარტამენტის მიერ მიიღება მის მიერ ზიანის გამოვლენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ვადის არაუმეტეს 120 კალენდარულ დღემდე გაგრძელება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში დეპარტამენტი უზრუნველყოფს დაინტერესებული ადმინისტრასიული ორგანოების ჩართვას. მნიშვნელოვანი ზიანის არებობის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედებას.

5. პირისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან/და მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტი. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

6. გარემოზე ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირი ვალდებულია, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 4 თვის ვადაში ამ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად მოამზადოს და დეპარტამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს გამასწორებელი ღონისძიებების გეგმა (ღონისძიებების ჩამონათვალით და მათი განხორციელების ვადებით).

გამასწორებელი ღონისძიებების გეგმას თან უნდა ერთვოდეს ავტორიზებული აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა.

7. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა პირს დაეკისრება ზიანის გამომწვევი ქმედებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 60 კალენდარული დღის ვადაში. გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8. თუ მნიშვნელოვანი ზიანი გამოწვეულია ამ კანონის მე-2 დანართით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი ავტომატურად ექცევა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ქვეშ.

9. იმ შემთხვევაში თუ პირის ქმედებამ ერთდროულად გამოიწვია ზიანიც და მნიშვნელოვანი ზიანიც, მას მიყენებული თითოეული ზიანისათათვის პასუხისმგებლობა (გაემოსდაცვითი პასუხისმგებლობა/მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა) დაეკისრება ცალ-ცალკე ამ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

10. ამ კანონით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ფიზიკურ პირს, თუ მის მიერ მიყენებული ზიანი გამოწვეულია პირადი არასამეწარმეო მიზნებისთვის განხორციელებული ქმედებით. ამ კანონით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ასევე არ ვრცელდება შავ ზღვაზე მცურავი საშუალებიდან, ან საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვისას გარემოზე მიყენებულ ზიანზე. აღნიშნულ შემთხვევაში ზიანის ოდენობა განისაზღვრება „ფიზიკური პირის მიერ ასევე შავ ზღვაზე მცურავი საშუალებიდან, ან საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვისას გარემოზე მიყენებული ზიანის გამოანგარიშების მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 7. გამასწორებელი ღონისძიებები

1. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება გულისხმობს პირის ვალდებულებას განახორციელოს გამასწორებელი ღონისზიებები, შემდეგი აუცილებელი რიგითობით:

ა) გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე) მდგომარეობაში აღგენა;

ბ) გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა;

გ) დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე სანაცვლო/ადექვატური გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება.

2. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ამ მუხლით გათვალისწინებულ გამასწორებელ ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი ხარჯებით და პასუხისმგებლობით.

3. გარემოზე ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებს და გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 8. გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრა

1. გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის დროს პირველ რიგში უნდა დადგინდეს, არის თუ არა შესაძლებელი დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე) მდგომარეობაში აღდგენა.

2. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ შესაძლებელია დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა გონივრულ ვადებში, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება.

3. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ შეუძლებელია დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ან აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია გონივრულ ვადებში, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის ვალდებულება.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესწავლის შედეგად დადგინდება, რომ შეუძლებელია დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა ან აღნიშნულის განხორციელება გონივრულ ვადებში, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება.

5. დადგენილი წესით განსაზღვრული გამასწორებელი ღონისძიებების გეგმას ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი წარუდგენს დეპარტამენტს, რომელიც 90 კალენდარული დღის ვადაში ითანხმებს მას, ან შენიშვნებით უბრუნებს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს.

6. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირი ვალდებულია დეპარტამენტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, დეპარტამენტს შენიშვნების გათვალისწინებით წარუდგინოს გამასწორებელი ღონისძიებების გეგმა, ხარჯთაღრიცხვასთან ერთად.

7. იმ შემთხვევაში თუ ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი არ ეთანხმება დეპარტამენტის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს ის ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ გონივრულ ვადაში უფლებამოსილია შესაბამისი დასაბუთებით ერთჯერადად წერილობით მიმართოს დეპარტამენტის შენიშვნის მოხსნის ან შეცვლის თაობაზე. დეპარტამენტი იხილავს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის დასაბუთებულ მოსაზრებებს, ახორციელებს ამ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ამავე დროს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის (ხარჯთაღრიცხვასთან ერთად) წარმოდგენაზე.

8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე დროს დეპარტამენტი უფლებამოსილია თავად განახორციელოს გამასწორებელი ღონისძიებების გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნების გათვალისწინება.

9. გამასწორებელი ღონისძიებების გეგმა (ღონისძიებების ჩამონათვალით და მათი განხორციელების ვადებით) მტკიცდება დეპარტამენტის მიერ და სავალდებულოა შესასრულებლად.

10. საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია დეპარტამენტს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით განსაზღვრული ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით, თუ დაასაბუთებს, რომ ამ ღონისძიების შესრულება ვერ უზრუნველყოფს გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორებას ან/და ამ ღონისძიების სხვა ღონისძიებით შეცვლა აუცილებელი და ეფექტიანია გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების თვალსაზრისით. დეპარტამენტი იხილავს დასაბუთებულ შუამდგომლობას, ახორციელებს ამ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

11. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის წამოუდგენლობის შესმთხვევაში ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ამავე დროს თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი არ ასრულებს ვალდებულებას დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს ფონდის კომისიას გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის თაობაზე.

12. დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე ფონდის კომისია იღებს გადაწყვეტილებას გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის შესახებ და ამ უკანასკნელს გამოუყოფს შესაბამის დაფინანსებას მისივე მიმართვის საფუძველზე.

13. გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ შესაძლებელია განისაზღვროს სამინისტროს სისტემის დაწესებულება გარდა დეპარტამენტისა.

მუხლი 9. გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობა

1. დეპარტამენტი ვალდებულია, გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევაში, გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრისას დაინტერესებულ მხარეებს მისცეს შესაძლებლობა, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები.

2. დეპარტამენტი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის წარმოდგენიდან/შემუშავებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს აღნიშნული გეგმის პროექტის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და შესაბამისი წინადადებების მიღების უზრუნველსაყოფად.

3. დეპარტამენტი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გეგმის პროექტის ვებგვერდზე განთავსებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში იხილავს დაინტერესებული მხარეების მიერ წერილობით წარმოდგენილ მოსაზრებებს/შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მხედველობაში იღებს მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4. იმ შემთხვევაში, თუ დეპარტამენტი მხედველობაში არ მიიღებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოსაზრებებს/შენიშვნებს, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია ეცნობება შესაბამის დაინტერესებულ მხარეს.

მუხლი 10. გამასწორებელი ღონისძიებების შესრულება და ზედამხედველობა

1. ზიანის მიმყენებელი ვალდებულია შეასრულოს გამასწორებელი ღონისძიებები, გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

2. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეუსრულებლობისათვის ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ამავე დროს თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ დეპარტამენტის მიერ დამატებით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში არ ასრულებს

ვალდებულებას დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გამასწორებელი ღონისძიებების განსახორციელებლად სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ.

3. გამასწორებელი ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას ახორციელებს დეპარტამენტი.

მუხლი 11. სპეციალური მმართველი

1. სპეციალური მმართველი უფლებამოსილია საქმიანობის განმახორციელებელის ხარჯით ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ან გამასწორებელი ღონისძიებების შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში შესრულების უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს ყველა ღონისძიება.

2. სპეციალური მმართველი განხორციელებული საქმიანობის ყოველთვიურ ანგარიშს წარუდგენს დეპარტამენტს.

3. სპეციალური მმართველი განსახორციელებელი ღონისძიებების გათვალისწინებით ინიშნება განსაზღვრული ვადით. თუ დადგენილ ვადაში ვერ შესრულდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები, სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს აღნიშნული ვადა.

4. დეპარტამენტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო ასევე იღებს გადაწყვეტილებას:

ა) სპეციალური მმართველის შეცვლის თაობაზე;

ბ) საქმიანობის განმახორციელებლის სხვა გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების უფლების სპეციალური მმართველისთვის მინიჭების თაობაზე.

5. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სპეციალური მმართველის მოთხოვნისას დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია ან მატერიალური საშუალებები. საქმიანობის განმახორციელებელის მიერ აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობა ან სპეციალური მმართველისათვის ხელის შეშლა გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სპეციალური მმართველის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების შესრულების შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სპეციალური მართვის გაუქმების შესახებ.

7. ყველა ქმედება, რომელიც მიმართულია ზიანის პრევენციის/შერბილების ან გამასწორებელი ღონისძიებების უზრუნველყოფისაკენ, მათ შორის, სპეციალური

მმართველის ანაზღაურება, ხორციელდება საქმიანობის განმახორციელებელის ხარჯით.

8. სპეციალური მმართველის შერჩევის, შეცვლის, უფლებამოსილებისა და ანაზღაურების საკითხები, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგულირდება მინისტრის ნორმატიული აქტით.

მუხლი 12. გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება

1. ამ კანონის დანართი 2-ით გათვალისწინებული ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის განხორციელების დაწყებისთანავე გააჩნდეს გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ერთ-ერთი შემდეგი საშუალება:

ა) ეკოლოგიური დაზღვევა;

ბ) დაგროვებითი სისტემა;

2. დაგროვებითი სისტემის შექმნის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

3. ეკოლოგიური დაზღვევის სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება „ეკოლოგიური დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულება არ ვრცელდება საბიუჯეტო დაწესებულებებზე.

მუხლი 13. ფონდის ფორმირების წყაროები

1. ფონდის ფორმირების წყაროებია:

ა) ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “ე“ და “ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხები;

ბ) ფიზიკური პირის მიერ ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული თანხები;

გ) სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა.

დ) გრანტები და შემოწირულობები.

2. ფონდში თანხის აკუმულირება ხორციელდება სპეციალური დანიშნულების გარეშე.

მუხლი 14. ფონდის მიზნები და ფონდში აკუმულირებული სახსრების განკარგვა

1. ფონდის ძირითადი მიზნებია: გარემოს მდგომარეობის აღდგენა, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, გარემოს კვლევა, გარემოსდაცვითი განათლება და ცნობიერების ამაღლება.

2. ფონდის ფარგლებში აკუმულირებული სახსრების განკარგვა ხორციელდება კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. კომისიის მიერ ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიება, ძირითადად უნდა ემსახურებოდეს გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას (მათ შორის ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-3 პუნქტის "ბ", "გ", "ვ" და "ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე) და ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

4. კომისიის შემადგენლობა და კომისიის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

5. იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ვერ განხორციელდება ფონდში არსებული თანხების სრულად განკარგვა, დარჩენილი თანხა ავტომატურად დაემატება ფონდს მომდევნო საბიუჯეტო წლის ფარგლებში.

მუხლი 15. ფონდის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება და ზედამხედველობა

1. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა.
2. კომისიის გადაწყვეტილებით დგინდება ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ან/და ღონისძიებების განხორციელებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო. აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი ღონისძიების მომსახურების შესყიდვა.

თავი III
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

მუხლის 16. გარემოზე ზიანის გარდაუვალი საფრთხის ან გარემოზე მიყენებული ზიანის შესახებ შეუტყობინებლობა

გარემოზე ზიანის გარდაუვალი საფრთხის ან გარემოზე მიყენებული ზიანის შესახებ შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 5 000 ლარიდან 10 000 ლარამდე.

მუხლის 17. ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა

ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარიდან 20 000 ლარამდე.

მუხლის 18. გარემოზე მიყენებული ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა

გარემოზე მიყენებული ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარიდან 40 000 ლარამდე.

მუხლის 19. გარემოსდაცვითი ზიანის ფონდში თანხის ჩარიცხვის ვალდებულების შეუსრულებლობა

გარემოსდაცვითი ზიანის ფონდში ამ კანონით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვის ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარიდან 10 000 ლარამდე.

მუხლის 20. გარემოზე მიყენებული ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის ან/და განსახორციელებელი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შესახებ დასკვნის წარდგენის მოთხოვნების შეუსრულებლობა

1. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის ან/და განსახორციელებელი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შესახებ დასკვნის დადგენილ ვადებში წარუდგენლობა –

გამოიწვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

2. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის ან/და განსახორციელებელი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შესახებ დასკვნის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას 20 000 ლარიდან 40 000 ლარამდე.

მუხლის 21. ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუსრულებლობა

ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას 40 000 ლარიდან 80 000 ლარამდე.

მუხლი 22. ამ კანონის მე-16 – მე-21 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა

1. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ, მისი აღმოფხვრის თაობაზე სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ამ კანონის იმ მუხლის ან მუხლის პუნქტის სანქციის ფარგლებში, რომლის დარღვევის გამოც პირს დაეკისრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოფხვრა.

2. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოს თანამშრომლის მიერ უფლების განხორციელებისა და მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 23. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

1. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. ამ თავით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება სამართალდამრღვევს არ ათავისუფლებს ამ კანონით დადგენილი ვალდებულებისაგან.

4. ამ კანონის მე-16 – მე-20 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს დეპარტამენტი.

5. რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ამ კანონის მე-16 – მე-20 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.

6. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი დამრღვევის მიერ საჩივრდება სასამართლოში.

მუხლი 24. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

1. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

2. პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას.

თავი IV.
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 25. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის მოქმედება გავრცელდეს ისეთ ქმედებებზე ან/და ვალდებულებებზე, რომელიც უკავშირდება ამ კანონის ამოქმედებამდე გამოვლენილ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას, რის გამოც დამრღვევ პირს ჯერ არ დაკისრებია (არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილება) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ზიანის შეფასება განხორციელდეს ამ კანონით დადგენილი წესით და დამრღვევს დაეკისროს ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა/მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა).

3. ამ კანონის დანართი 2-ით გათვალისწინებული ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განმახორციელებელ პირს, რომლის საქმიანობა დაწყებულია ამ 2021 წლის პირველ იანვრამდე, ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება წარმოეშვება 2021 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 26. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები და გამოსაცემი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

1. მინისტრის მიერ 2019 წლის 1 იანვრამდე გამოცემულ იქნეს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) „გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) სპეციალური მმართველის შერჩევის, შეცვლის, უფლებამოსილებისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. საქართველოს მთავრობამ:

ა) 2019 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:

ა.ა) „ტექნიკური რეგლამენტი ფიზიკური პირის მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის გამოანგარიშების მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“;

ა.ბ) „ტექნიკური რეგლამენტი გარემოზე ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებისა და გამასწორებელი ღონისძიებების გემის შედგენის წესის შესახებ“;

ა.გ) „გარემოსდაცვითი ზიანის ფონდის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.

ბ) 2020 წლის პირველ იანვრამდე საქართველოს მთავრობამ:

ბ.ა) გამოსცეს დადგენილება „დაგროვებითი სისტემის შექმნის წესის შესახებ“;

ბ.ბ) შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს „ეკოლოგიური დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

მუხლი 27. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი გარდა ამ კანონის მე-12 და მე-18 მუხლებისა ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

2. ამ კანონის მე-12 მუხლი ამოქმედდეს 2021 წლის პირველი იანვრიდან.

3. ამ კანონის მე-18 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*

მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. ბიომრავალფეროვნება:

ა) წითელ ნუსხაში შემავალი სახეობებიდან განადგურდა ან იმგვარად დაზიანდა, რომ წარმოიქმნა განადგურების საფრთხე, შემდეგი კატეგორიიდან 1 ინდივიდი მაინც:

ა.ა) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი - EN (Endangered);

ა.ბ) გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი - CR (Critically Endangered);

ა.გ) გადაშენებული ეროვნულ დონეზე - RE (Regionally extinct);

ბ) ბერნის კონვენციით მკაცრად დაცული 1 ინდივიდი მაინც განადგურდა ან იმგვარად დაზიანდა, რომ წარმოიქმნა მისი განადგურების საფრთხე;

გ) სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნულ პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, აღკვეთილის მკაცრი დაცვის ზონის მთლიანი ან ნაწილობრივი (ფართობის 20%-ზე მეტი) განადგურება, რამაც მას დაუკარგა შექმნის მიზანი ან/და დანიშნულება;

დ) ზურმუხტის ან/და რამსარის ტერიტორიას მიადგა ისეთი ზიანი, რამაც მას დაუკარგა შექმნის მიზანი ან/და დანიშნულება;

ე) მოჭრილია, ამოძირკულია, განადგურებულია ამ კანონის დანართი 3-ით განსაზღვრული მერქნიანი მცენარის სახეობა, ამავე დანართით განსაზღვრული ოდენობით;

ვ) მოპოვებულია, განადგურებულია ამ კანონის დანართი 4-ით განსაზღვრული ცხოველთა სამყაროს ობიექტი, ამავე დანართით განსაზღვრული ოდენობით;

2. მიწა:

ა) 500 კვ.მ და მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაბინძურების დონე ორჯერ ან მეტით აღემატება დადგენილ ნორმებს ან სრულად დეგრადირებულია;

ბ) დაბინძურებული ან/და დეგრადირებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები - 1500 კვ.მ. და მეტი;

ბ) დაბინძურებული ან/და დეგრადირებულია ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული მიწები - 500 კვ.მ და მეტი.

გ) დაბინძურებულია ან/და დეგრადირებულია ზურმუხტის, რამსარის ან/და ნებისმიერი კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე არსებული მიწები - 250 კვ.მ.

3. წყალი:

ა) დაბინძურებულია (დაირღვა არსებული ნორმები) ზედაპირული ან/და მიწისქვეშა წყლის ობიექტი, რომელიც ფაქტობრივად გამოიყენება ან დადასტურებულად დაგეგმილია მისი გამოყენება:

ა.ა) სასმელი წყლით მომარაგებისათვის;

ა.ბ) სარწყავი მიზნებისათვის;

ბ) განხორციელდა ზედაპირული წყლის დაშრეტა;

გ) ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობა 10-ჯერ და მეტად აღემატება დადგენილ ნორმებს.

შენიშვნა: წყლის ობიექტის სასმელი წყლით მომარაგებისათვის ან/და სარწყავი მიზნებისათვის გამოყენების დადასტურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტისგან ინფორმაციის გამოთხოვის გზით. დასადასტურებლად შესაძლებელია წარდგენილი იყოს მშენებლობის ნებართვა, პროექტის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების დამადასტურებელი აქტი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დასკვნა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც უტყუარად ადასტურებს წყლის ობიექტის გამოყენების გეგმას სასმელი წყლით მომარაგებისათვის ან/და სარწყავი მიზნებისათვის.

სასარგებლო წიაღისეული:

მოპოვებულია, გაუვარგისებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეული, ამავე დადგენილებით განსაზღვრული ოდენობით.

დანართი 2

ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობები

1. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართით განსაზღვრული საქმიანობები.
2. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართით განსაზღვრული საქმიანობები, რომელიც ამავე კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის შედეგად დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.
3. საქმიანობა რომელზეც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
4. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული საქმიანობა;
5. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი პუნტის “დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა;
6. სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, რომელიც შედის ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ივლისის N32 დადგენილების რეგულირების სფეროში.
7. სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, რომელიც შედის „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის N263 ბრძანების რეგულირების სფეროში.
8. ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა;
9. სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.

დანართი 3

მერქნიანი მცენარეებისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი

მერქნიან მცენარეთა სახეობები	მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა		
	მუნიციპალიტეტის ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორიაზე (ცალი)	დაცული ტერიტორიაზე (მ^3)	ტყის ფონდის ტერიტორიაზე (მ^3)
საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ნებისმიერი სახეობა	1 ცალი და მეტი	0,5 მ^{3}და მეტი	1 მ^{3}და მეტი
მუხა, იფანი, თელა, თუთა, ცაცხვი, პანტა, საღსალაჯი	3 ცალი და მეტი	1,5 მ^{3}და მეტი	3 მ^{3}და მეტი
წიფელი, რცხილა, აკაცია, აკაკი	4 ცალი და მეტი	2 მ^3 და მეტი	4 მ^3 და მეტი
ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, კედარი, კვიპაროსი, კრიპტომერია, ტუია	8 ცალი და მეტი	4 მ^3 და მეტი	8 მ^3 და მეტი
ჯაგრცხილა, ჭადარი, ტყის დანარჩენი მერქნიანი სახეობები	14 ცალი და მეტი	7 მ^3 და მეტი	14 მ^3 და მეტი

დანართი 4

ცხოველთა სამყაროს ობიექტებისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი

№	ცხოველთა სამყაროს ობიექტებისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი	
	უკანონოდ მოპოვებული რესურსი	**მნიშვნელოვანი ზიანი კილოგრამებში**
	თევზები, ზღვის ძუძუმწოვრები და ჰიდრობიონტები	
1	საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები	1
2	ზვიგენები, სკაროსები და კუდჩხვეტიასებრნი	50
3	ზღვაში მოპოვებული თევზები	100
4	შიდა წყალსატევებში მოპოვებული თევზები	50
5	წყლის ჰიდრობიონტები (კიბორჩხალები, მოლუსკები და სხვა)	50
6	წყალმცენარეები და წყლის მცენარეები	100
7	**უხერხემლოები**	
22	საქართველოს წითელი ნუსხით დაცული	1
23	სხვა უხერხემლოები	20
	ძუძუმწოვრები	
	მოპოვებული რესურსი	**მნიშვნელოვანი ზიანი ცალებში**
7	საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები	1
8	შველი	1
9	გარეული ღორი	2
10	მგელი, ტურა, მელა	7
	ტყის კატა, კვერნა, მაჩვი	10
11	კურდღელი, ციყვი და სხვა ძუძუმწოვრები	50
	ფრინველები	
	მოპოვებული რესურსი	**მნიშვნელოვანი ზიანი ცალებში**
12	საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები	1
13	დურაჯი, სავათი, ხონთქარის ქათამი, კოლხური ხოხობი, ვარდისფერი ვარხვი, ჩვეულებრივი ფლამინგო, წითელნისკარტა გედი, ყვითელნისკარტა გედი, წითელყელა ბატი, წეროტურფა	1
14	შავარდენისნაირნი	2
15	ღორიხვასნაირნი, კოკონასნაირნი, ქარიშხალასნაირნი, ბატისნაირნი, ყარყატისნაირნი, ვარხვისნაირნი, წეროსნაირნი	20
16	ქათმისნაირნი	30
17	მეჭვავიასნაირნი, მტრედისნაირნი, კოდალასნაირნი, უფეხურასნაირნი, ნამგალასნაირნი, ბეღურასნაირნი და სხვა ფრინველები	50
	ქვეწარმავლები (რეპტილიები)	
18	საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები	1
19	სხვა ქვეწარმავლები	50
	ამფიბიები	
20	საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები	1
21	სხვა ამფიბიები	50

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 306-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც საქართველო ვალდებულია მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან. კერძოდ კი, ქვეყანა ვალდებულია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივასთან ჰარმონიზაციის მიზნით განსაზღვროს კომპეტენტური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებზე, ამავდროულად, შექმნას სამართლებრივი მექანიზმები გარემოსათვის მიყენებული ზიანის პრევენციის/შერბილების/აღმოფხვრის მიზნით, შემოიღოს მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირება, იმ საქმიანობებისათვის, რომელიც მოცემულია ზემოაღნიშნული დირექტივის N3 დანართში, დააწესოს საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტისათვის კონკრეტული ვალდებულებები ზიანის პრევენციის/შერბილების/აღმოფხვრისათვის და უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესებში. სწორედ აღნიშნული დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავდა ,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და მეორეს მხრივ სწორი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება, რაც ქვეყანაში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი გარემოსდაცვითი მმართველობის შექმნის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს. კანონპროექტით, იქმნება მყარი სამართლებრივი საფუძველი არამხოლოდ მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიებისთვის, არამედ ყველა საწარმოსათვის, რომ გარემოსათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, მათ განახორციელონ შესაბამისი სარემედიაციო ღონისძიებები და საქმიანობის განხორციელებამდე შექმნან მყარი ფინანსური გარანტიები, რომ თუკი ზიანი დადგება, მათ ჰქონდეთ სათანადო თანხები მობილიზებული ამ ზიანის მოკლე ვადაში აღმოსაფხვრელად. ამავდროულად, კანონპროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, პირველ რიგში, ***<u>გარემოზე ზიანის მიყენების პრევენციისა და შერბილების სამართლებრივი რეგულირება, რასაც დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს.</u>*** კერძოდ, კანონპროექტით განისაზღვრება კონკრეტული

ვალდებულებები საქმიანობის განმახორციელებელი პირისათვის, რომ მან უზრუნველყოს *<u>ზიანის პრევენცია/შერბილება, ამისათვის გაატაროს კანონში მოცემული კონკრეტული ღონისძიებები, შეატყობინოს სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები იმისათვის, რომ ზიანი არ დადგეს და თავიდან იქნეს აცილებული.</u>* თუმცა, თუკი საქმიანობის შედეგად, გარემოზე ზიანის მიმყენებელი პირის უკანონო ქმედებით, გარემოს მაინც მიადგება ზიანი, პირი ვალდებული იქნება შეასრულოს დამდგარი ზიანის სარემედიაციო ღონისძიებები, რომელიც გაწერილი იქნება გამასწორებელი ღონისძიებების გეგმაში, რომელსაც შეითანხმებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და ეს იქნება სახელმძღვანელო დოკუმენტი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირისათვის, რომ დროში გაწერილ ვადებში, კონკრეტული ქმედებების განხორციელებით, გარემოზე მიყენებული ზიანი შეამციროს/შეარბილოს ან სრულად აღმოფხვრას. მსგავსი მიდგომა არსებობს ყველა ევროპულ ქვეყანაში და არსად არ გამოიყენება გარემოსათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მონეტარული თანხის გადახდის პრინციპი, რადგან მიჩნეულია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხა, ვერ ჩაითვლება მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, რადგან ის პირდაპირპროპორციულად ვერ მოხმარდება გარემოსათვის მიყენებული ზიანის სარემედიაციო ღონისძიებებს. ამავდროულად, ამავე **კანონპროექტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ზიანის ფონდის შექმნა,** რომლის მიზანი იქნება გარემოს მდგომარეობის აღდგენა, ისტორიულად დაზიანებული გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება და აგრეთვე გარემოს ცალკეული კომპონენტების კვლევისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაფინანსება. მსგავსი ტიპის გარემოსდაცვითი ფონდები არსებობს პოლონეთში, კანადაში, სლოვენიაში და სხვა ევროპულ ქვეყნებში და მათ მიზანსაც სწორედ დაზიანებული გარემოს აღსადგენად განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება წარმოადგენს. *<u>ამავე კანონპროექტით განისაზღვრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხები და ჯარიმათა ოდენობები არის საკმაოდ მაღალი, გამომდინარე იმ საერთაშორისო პრაქტიკიდან, რასაც ევროკავშირის ქვეყნებში ვხვდებით.</u>* ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, უკანონო ქმედება, რომლისთვისაც გარემოს მიადგა ზიანი ადმინისტრაციული წესით, საკმაოდ მაღალი სანქციებით არის დასჯადი, რათა საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებს გააჩნდეთ მაღალი პასუხისმგებლობა და საქმიანობა წარმართონ გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიღებით ჩამოყალიბდება ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც დაეფუძნება „დამაბინძურებელი იხდის პრინციპს“ და რომლის მიზანიც იქნება გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენცია და აღმოფხვრა/შერბილება.

მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ კი "ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N54 დადგენილება <u>აგებულია გარემოსთვის მიყენებული ზიანისათვის მონეტარულ პასუხისმგებლობაზე.</u> ასევე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გარემოსთვის მიყენებული ზიანის სანაცვლოდ გადახდილი თანხა მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში და მას არ აქვს განსაზღვრული მიზნობრიობა, რომ კონკრეტულად

მოხმარდეს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს დაზიანებული გარემოს აღდგენას. მოქმედი რეგულაციისგან განსხვავებით, *წარმოდგენილ კანონპროექტს შემოაქვს სრულიად ახალი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მექანიზმი,* რომლის შესაბამისადაც, პირი, რომელიც გარემოს ზიანს მიაყენებს, ვალდებული იქნება გადაიხადოს არა თანხა, *არამედ გაატაროს გარემოს აღსადგენად საჭირო გამასწორებელი ღონისძიებები წინასწარ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.* აქედან გამომდინარე, ზიანის თანხა მთლიანად მოხმარდება ამ ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელებას. *გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის არსიც სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ის პირი, რომელმაც მიაყენა ზიანი გარემოს, თავად არის ვალდებული გამოასწოროს ეს ზიანი და ასევე გასწიოს ამ ზიანის გამასწორებელი ხარჯი.*

კანონის პროექტის თანახმად, კანონის მოქმედება ვრცელდება გარემოსთვის მიყენებული ზიანის ნებისმიერ შემთხვევაზე. *თუმცა, კანონისპროექტი განსხვავებულ წესს ადგენს ფიზიკური პირის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია პირადი არასამეწარმეო მიზნებისთვის განხორციელებული ქმედებით.* აღნიშნულ შემთხვევაში გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრა მოხდება „ფიზიკური პირის მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის გამოანგარიშების მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. *აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ეფუძნება, როგორც ეს ასევე დირექტივითაც არის განსაზღვრული, საქმიანობიდან გამომდინარე ზიანს და შესაბამისად უკავშირდება ზიანის კონკრეტულ მასშტაბებს. ნებისმიერი ერთჯერადი ქმედების შედეგად ფიზიკური პირისათვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება და შესაბამისად კონკრეტული გამასწორებელი ღონისძიებების დაკისრება, პრაქტიკაში არააღსრულებადი იქნებოდა.*

კანონის პროექტი, ისევე როგორც დირექტივა, ერთმანეთისგან განასხვავებს **გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ორ სახეს: გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა** და **მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.** მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ეკისრება პირს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში. ასეთ დროს პირს დაეკისრება გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება მაშინაც, თუ ზიანი დადგა მისი ბრალეულობის გარეშე. მნიშვნელოვანი ზიანი კანონის პროექტის მიხედვით განმარტებულია, როგორც გარემოზე, კერძოდ, ბიომრავალფეროვნებაზე ან/და მიწაზე ან/და წყლის (მათ შორის მიწისქვეშა) ობიექტზე მიყენებული ისეთი ზიანი, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ, რა დროსაც აუცილებელია გარემოს დაზიანების დონე შეესაბამებოდეს კანონპროექტის დანართი 1-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

კანონპროექტი შედგება 3 თავის, 27 მუხლისა და 2 დანართისგან.

პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის პროექტის ძირითად მიზანს და იმ პრინციპს, რომელზეც აგებულია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ახალი სისტემა. კერძოდ, კი კანონის მიზანია გარემოზე ნებისმიერი სახის ზიანის მიყენების პრევენციისა და შერბილების/აღმოფხვრის სამართლებრივი რეგულირება, „დამბინძურებელი იხდის“

პრინციპის შესაბამისად. „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპი წარმოადგენს გარემოს დაცვის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად და გულისხმობს ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის ვალდებულებას, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი შემარბილებელი და გამასწორებელი ღონისძიებები და გაიღოს შესაბამისი ხარჯები ან აანაზღაუროს გარემოსთვის მიყენებული ზიანი. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე არის აგებულია მთლიანად აგრეთვე გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ დირექტივა და გამომდინარეობს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 191-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან.

მე-2 მუხლის განსაზღვრავს კანონის რეგულირების სფეროს. კანონის მოქმედება არ ვრცელდება გარემოზე ზიანის მიყენების ისეთ შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია ფორსმაჟორული სიტუაციით, ასევე ისეთი ღონისძიებებით, რომელთა მიზანია ფორსმაჟორული სიტუაციის პრევენცია/შერბილება/აღმოფხვრა, შეიარაღებული კონფლიქტით, ეროვნულ უსაფრთხოებასთან/თავდაცვასთან ან/და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოქმედებებით. კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება: შემთხვევებზე, რომელსაც არეგულირებს საქართველოს საერთაშორისო შეთანხმება, თუ ამ შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს; შემთხვევაზე, როდესაც შეუძლებელია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი; თუ სახეზე იქნება მნიშვნელოვანი ზიანი და შეუძლებელი იქნება ზიანის მიმყენებელი პირის იდენტიფიცირება, ასეთ შემთხვევაში გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელი იქნება ფონდში აკუმულირებული წყაროებიდან. კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება, კერძო მესაკუთრისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაზე, რაც არ გამორიცხავს კერძო მესაკუთრის უფლებას, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, მოითხოვოს ზიანის მიმყენებლისაგან ზიანის ანაზღაურება; შემთხვევაზე, რომელიც გამოწვეულია დიფუზიური ხასიათის ემისიებით (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება), როდესაც შეუძლებელია დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და ზიანის გამომწვევ კონკრეტულ ქმედებას შორის; ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ამ კანონის ამოქმედებამდე განხორციელებული ქმედებით და შეუძლებელია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირს დადგენა ან ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი კანონმდებლობის შესაბამისად ლიკვიდირებულია ან/და არ ჰყავს შესაბამისი უფლებამონაცვლე.

მე-3 მუხლში მოიცემულია ტერმინთა განმარტებანი.

მე-4 მუხლი არეგულირებს ზიანის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებს. „ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების სფეროში ხვდება მხოლოდ უკვე დამდგარი ზიანი. **მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზიანის პრევენციის საკითხებს.** შესაბამისად კანონის პროექტს შემოაქვს კიდევ ერთი ახალი

მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გარდაუვალი ზიანის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში, ასეთი ზიანის დადგომის თავიდან აცილებას ან შერბილებას. აღნიშნული მექანიზმის ამოქმედების შედეგად შემცირდება გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევები. ზიანის პრევენციის მექანიზმი ხელს შეუწყობს საქმიანობის განმახორციელებლებს წინასწარ შეაფასონ გარემოსდაცვითი რისკები და მართონ იმგვარად, რომ თავიდან აიცილონ ზიანის დადგომა. ზიანის პრევენციის მექანიზმი ასევე შეამცირებს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გასაწევ ხარჯებს, რადგან პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების შედეგად, დიდი ალბათობით ზიანი აღარ დადგება და საქმიანობის განმახორციელებელს აღარ მოუწევს დამდგარი ზიანის სარემედიაციო ღონისძიებების გატარება. ცხადია, პრევენციის მექანიზმი არ გამორიცხავს ზიანის დადგომის შემთხვევებსაც, თუმცა პრაქტიკაში, შესაძლებელი იქნება მოსალოდნელი ზიანის პრევენციისათვის სარემედიაციო ღონისძიებების განხორციელება ზედამხედველობის დეპარტამენტთან შეთანხმებით, რაც შეამცირებს მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევებს.

ზიანის პრევენციის მექანიზმი ავალდებულებს საქმიანობის განმახორციელებელს, რომ გარემოზე ზიანის მიყენების ***გარდაუვალი საფრთხის წარმოშობისთანავე,*** დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და გაატაროს **ყველა აუცილებელი ღონისძიება ზიანის პრევენციისთვის.** გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი თავის მხრივ უფლებამოსილი იქნება საქმიანობის განმახორციელებს მოსთხოვოს ინფორმაცია საფრთხესთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განმახორციელებელი თავად არ განსაზღვრავს პრევენციულ ღონისძიებებს ან განსაზღვრული ღონისძიებები არ იქნება სათანადოდ, დეპარტამენტი თავად განუსაზღვრავს მას შესასრულებლად სავალდებულო ღონისძიებებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განმახორციელებელი არ შეასრულებს პრევენციულ ღონისძიებებს, დეპარტამენტს ასევე უფლება ექნება მოსთხოვოს მას შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ხოლო საქმიანობის განმახორციელებელს შესაძლოა დაენიშნოს სპეციალური მმართველი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს განპირობებულია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პრევენციული ღონისძიებები დროში შეზღუდულ ვადებში უნდა განხორციელდეს, რათა მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული გარემოს დაზიანება. სწორედ ამიტომ, კანონპროექტს შემოაქვს საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმი, რომლის მიზანია, ზიანის პრევენცია.

მე-5 მუხლი შეეხება უკვე დამდგარ ზიანს. ამ დროს საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, გაატაროს საჭირო ღონისძიებები ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად, დადგენილი წესით განახორციელოს გამასწორებელი ღონისძიებები და გამასწორებელი ღონისძიებების დადგენილი წესით დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ფონდში ჩარიცხოს თანხა გამასწორებელი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ღონისძიებების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, გარემოსდაცვითი ზიანის ფონდი

იქმნება იმისათვის, რომ სახელმწიფომ თავად შეძლოს ისეთი ზიანების აღმოფხვრა, რა დროსაც შეუძლებელია პირის იდენტიფიცირება, გარემო კი თავის მხრივ აღდგენას და გაუმჯობესებას საჭიროებს. შესაბამისად, იმისათვის, რომ გარემოსდაცვითი ზიანის ფონდში საკმარისი თანხების აკუმულირება მოხდეს და ეს თანხები საბოლოო ჯამში მოხმარდეს დაზიანებული გარემოს აღდგენას, ზიანის მიმყენებელი სუბიექტი ვალდებული იქნება, გარემოსათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, გამასწორებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის 5% ჩარიცხოს ფონდში დამატებით. ამავდროულად, ზიანის დადგომის შემთხვევაში, ზედამხედველობის დეპარტამენტი უფლებამოსილი იქნება გამოითხოვოს ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისგან, მოსთხოვოს მას ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად საჭირო აუცილებელი (გადაუდებელი) ღონისძიებებისა და გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ გარდა გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებისა, კანონის პროექტს შემოაქვს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის კიდევ ორი ახალი ვალდებულება. ზიანის დადგომის შესახებ შეტყობინების ვალდებულება და ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილებისათვის ან/და შერბილებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. შეტყობინების ვალდებულება შესაძლებლობას აძლევს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, დაადგინოს ხორციელდება, თუ არა ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებად ან/და შესარბილებლად საჭირო ღონისძიებები, მოსთხოვოს პირს ასეთი ღონისძიებების განხორციელება ან თავად განუსაზღვროს ასეთი ღონისძიებები, რითაც თავიდან იქნება აცილებული უფრო მასშტაბური ზიანის დადგომა. ასევე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შესაძლებლობა ექნება დადგენილ ვადებში განუსაზღვროს პირს გამასწორებელი ღონისძიებები.

კანონის პროექტის მე-6 მუხლი განსაზღვრავს გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების წესებს. ზიანის დადგომის შემთხვევაში დეპარტამენტი აფასებს სახეზეა ზიანი თუ მნიშვნელოვანი ზიანი და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. **მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრის კრიტერიუმებს ადგენს წარმოდგენილი კანონის პროექტის პირველი დანართი, სადაც დეტალურად (კონკრეტულად) არის გაწერილი რა ჩაითვლება ბიომრავალფეროვნებაზე, მიწაზე, წყალზე და წიაღზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებად. ყველა სხვა ზიანი, რომელიც არ მოხვდება მნიშვნელოვანი ზიანის კატეგორიაში, ჩაითვლება ჩვეულებრივ ზიანად, ამისათვის, ცხადია იგივე პრინციპებით მოხდება სარემედიაციო ღონისძიებების განხორციელება, როგორც მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევაში, თუმცა მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, მას შემდეგ რაც სასამართლო დაადასტურებს, რომ კონკრეტულმა სუბიექტმა თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიაყენა გარემოს ზიანი.** ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებული იქნება ზიანის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ დეპარტამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 4 თვის ვადაში დეპარტამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს გამასწორებელი ღონისძიებების გეგმა. *გამომდინარე იქიდან, რომ მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრებისას მხედველობაში არ მიიღება დადგა, თუ არა ზიანი პირის ბრალეული მოქმედების შედეგად,*

პირს მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა დაეკისრება ზიანის შეფასების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე, ხოლო გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

მე-7 და მე-8 მუხლები ადგენენ გამასწორებელი ღონისძიებების სახეებსა და მათი განსაზღვრის წესს. გამასწორებელი ღონისძიებებია: გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე) მდგომარეობაში აღგენა, გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა, დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე სანაცვლო/ადექვატური გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას, ხოლო თუ ეს შეუძლებელია უნდა განხორციელდეს გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა, ხოლო თუ ესეც შეუძლებელია, ამ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე სანაცვლო/ადექვატური გამასწორებელი ღონისძიებები. ამ პრინციპებზე და რიგითობაზე არის დამყარებული დირექტივის მოთხოვნები, შესაბამისად, ***კანონპროექტიც განსაღვრავს იმავე რიგითობას, როგორც ეს დირექტივაშია მოცემული. თითოეული ეტაპისათვის ადგენს შესაბამის, მკაცრად, დროში გაწერილ პროცედურებს, რათა პრაქტიკაში პროცესი არ გაიწელოს და არ დაგვიანდეს დაზიანებული გარემოს გასაუმჯობესებლად ღონისძიებების დაგეგმვა- განხორციელება.***

კანონის პროექტის მე-9 მუხლის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრაში. დაინტერესებული მხარე მაგ. შეიძლება იყოს ის პირი, რომელზეც მოახდინა გავლენა გარემოზე მიყენებულმა ზიანმა ან რომლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზეც უნდა განხორციელდეს გამასწორებელი ღონისძიებები.

მე-10 მუხლი ადგენს, რომ გამასწორებელი ღონისძიებების გატარებაზე ზედამხედველობას ახორციელებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. ხოლო გამასწორებელი ღონისძიებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით პირს შესაძლებელია დაენიშნოს სპეციალური მმართველი. მე-11 მუხლი განსაზღვრავს სპეციალური მმართველთან დაკავშირებულ საკითხებს. სპეციალური მმართველის ინსტიტუტი ეროვნული კანონმდებლობისათვის უცხო არ არის. მას არეგულირებს ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სპეციალურ მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია აგრეთვე ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“. იმისათვის, რომ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა იყოს ეფექტიანი და ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ჰქონდეს მაღალი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვანია, კანონპროექტი ითვალისწინებს სპეციალური მმართველის დანიშვნის შესაძლებლობას საწარმოში, თუკი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი არ ასრულებს დაზიანებული გარემოს გაუმჯობესებისთვის გამასწორებელ ***ღონისძიებებს. სპეციალური მმართველი ცხადია, დანიშნული იქნება დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით,***

კონკრეტული ვადით, კონკრეტული მიზნით და კონკრეტული ვალდებულებების შესასრულებლად. გამომდინარე იქედან, რომ დღეს კანონმდებლობა სრულყოფილად არ არეგულირებს სპეციალური მმართველის შერჩევის, მისი შეცვლისა და უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებს, კანონპროექტის მიღების შემდგომ გამოიცემა მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, სადაც დეტალურად განისაზღვრება სპეციალურ მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები.

კანონის პროექტის მე-12 მუხლს შემოაქვს გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება. აღსანიშნავია, რომ დირექტივა აძლევს შესაძლებლობას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შექმნან სხვადასხვა სახის ფინანსური გარანტიები (დაზღვევა, საბანკო გარანტია და სხვ.), იმისათვის, რომ მოხდეს გარემოსდაცვითი რისკის დაზღვევა. გარემოსათვის მიყენებული ზიანის დაზღვევა ფართოდ არის გავრცელებული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. მე-12 მუხლი განსაზღვრავს გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ორი სახის საშუალებას: ეკოლოგიური დაზღვევა და დაგროვებითი სისტემა, რომელიც სავალდებულოა ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განმახორციელებლისათვის. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო ეკოლოგიური დაზღვევის მექანიზმი უკვე გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით. კერძოდ, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, რომელიც 1997 წლის 22 იანვარს არის მიღებული, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ხორციელდება ეკოლოგიური დაზღვევა, მათ შორის, ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობის ობიექტების სავალდებულო ეკოლოგიური დაზღვევა. თუმცა, ამ მუხლმა დღემდე პრაქტიკაში რეალურად ასახვა და გამოყენება ვერ ჰპოვა, ვინაიდან ამავე კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ეკოლოგიური დაზღვევის სამართლებრივი რეჟიმი უნდა განსაზღვრულიყო საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, რაც არ განსაზღვრულა. აქედან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ მიზანსაც სწორედ ამ არსებული მექანიზმის გამოყენება და მისთვის დამატებითი სამართლებრივი რეგულირების შემოღება წარმოადგენს. თუმცა ამავდროულად, გამომდინარე იქიდან, რომ ეკოლოგიური დაზღვევის შემოღება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კერძო სადაზღვევო სექტორსა და ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ეკოლოგიურ დაზღვევას სავალდებულო ხასიათი ექნება ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განმახორციელებლისათვის, აუცილებელია, რომ ამ მექანიზმის ამოქმედებამდე დაწესდეს გარდამავალი პერიოდი, რა დროსაც მოხდება არსებული მდგომარეობისა და სამომავლო გამოწვევების წინასწარი შესწავლა და შეფასება, ასევე გაიმართება კონსულტაციები სადაზღვევო სექტორის წარმომადგენლებთან, რათა ჩამოყალიბდეს სწორი და გამართული ეკოლოგიური დაზღვევის სისტემა, რომელიც შემდგომ პრაქტიკაში გამოყენებადი და ეფექტიანი იქნება. შესაბამისად, აღნიშნული შესწავლისა და კონსულტაციების შედეგად, საქართველოს მთავრობას დაევალება 2020 წლის პირველ იანვრამდე შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს „ეკოლოგიური დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. საქმიანობის განმახორციელებლებს, რომლებმაც საქმიანობა დაიწყეს 2021 წლის 1 იანვრამდე

გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულება წარმოეშობა 2021 წლის 1 იანვრიდან.

მე-13-მე-15 მუხლებით რეგულირდება გარემოსდაცვითი ზიანის ფონდთან დაკავშირებული საკითხები. ეკოლოგიური/გარემოსდაცვითი ფონდები ფართოდ არის გავრცელებული, როგორც ევროკავშირის წვერ სახელმწიფოებში, ისე სხვა ქვეყნებში (პოლონეთი, სლოვენია, მოლდოვა, კანადა). ეკოლოგიური ფონდები სხვადასხვა სახით არსებობს, (როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე ცალკე ანგარიშის სახით) და ძირითად მიზანს წარმოადგენს მოახდინოს ფონდში აკუმულირებული თანხების გამოყოფა სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად (მაგ, გრანტის სახით). ფონდიდან შესაძლებელია ასევე დაფინანსდეს გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამასწორებელი ღონისძიებები, როდესაც მაგ. შეუძლებელია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება. კანონის პროექტის თანახმად, გარემოსდაცვითი ზიანის ფონდი ფორმირების წყარო შეიძლება იყოს: ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გადახდილი თანხა (5 %, რომელიც ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დგინდება და გადაიხდება ფონდში, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ), ფიზიკური პირის მიერ ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული თანხები (ფიზიკურ პირს, კვლავ მოუწევს მონეტარული წესით ზიანის თანხის გადახდა, მსგავსი პრაქტიკაა, უმრავლეს ევროპის ქვეყანაში), სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა და გრანტები და შემოწირულობები. ფონდში არსებული თანხები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გარემოს მდგომარეობის აღდგენაზე, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, გარემოს კვლევაზე, გარემოსდაცვითი განათლებასა და ცნობიერების ამაღლებაზე. თანხების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს კომისია.

კანონის პროექტის მე-16-24-ე მუხლები განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებსა და ადმინისტრაციული წარმოების წესს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, როგორიც არის ზიანის პრევენციის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა, გამასწორებელი ღონისძიებების შეუსრულებლობა და ა.შ. ჯარიმის თანხმები განისაზღვრება იმგვარად, რომ სახდელებს ჰქონდეს რეალური და შემაკავებელი ეფექტი.

კანონის პროექტის 26-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება გავრცელდება აგრეთვე ისეთ ქმედებებზეან/და ვალდებულებებზე, რომელიც უკავშირდება ამ კანონის ამოქმედებამდე გამოვლენილ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას, რის გამოც დამრღვევ პირს ჯერ არ დაკისრებია (არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილება) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

27-ე მუხლი განსაზღვრავს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები/გამოსაცემი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჩამონათვალს.

კანონის პროექტის პირველი დანართი მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრის კრიტერიუმები ბიომრავალფეროვნებისთვის, მიწისა და წყლისთვის, ხოლო მეორე დანართში

მოცემულია ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობების ნუსხა. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრა ხდება „ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N54 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის კრიტერიუმები (მიწის დეგრადაციის შედეგად გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი, წიაღით უკანონო სარგებლობისას გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი და ა.შ.). გამომდინარე იქიდან, რომ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მთლიანად ამბობს უარს გარემოსთვის მიყენებული ზიანის მონეტარული ანაზღაურების პრინციპზე და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სახით შემოაქვს ზიანის ანაზღაურების სრულიად ახალი მექანიზმი, აღნიშნული კანონის ამოქმედება გამოიწვევს საქართველოს მთავრობის 54-ე დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავდა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართები, რომლითაც დგინდება მერქნიანი მცენარეებისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტებისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრის კრიტერიუმები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. გამომდინარე იქიდან, რომ კანონის პროექტით გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის მონეტარული ანაზღაურება იცვლება გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებით. შესაბამისად, ზიანის შედეგად მიღებული თანხების მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში აღარ განხორციელდება. ამასთან, ასევე აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირის მიერ ერთჯერადი ქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის გადახდილი თანხა ჩაირიცხება ფონდში და მოხმარდება შემდგომ უკვე სხვადასხვა ზიანის გამოსწორების ღონისძიებების განხორციელებას მთავრობის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ზიანის თანხების ამოღება და სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვა არ ხდება. 2016 წლის მონაცემების თანახმად, დაკისრებული ზიანის თანხა შეადგენდა 10 429 869.06 ლარს, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია მხოლოდ 487 210.87 ლარი, ხოლო 2017 წელს დაკისრებული ზიანის თანხა შეადგენდა 8 873 722.66 ლარს, ხოლო აქედან სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 806 657.07 ლარი. აღნიშნული სტატისტიკა ასევე მეტყველებს მოქმედი სისტემის არაეფექტიანობაზე.

აქედან გამომდინარე, კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე არსებით გავლენას არ მოახდენს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. გამომდინარე იქედან, რომ აუცილებელია, აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების შექმნა. იმისათვის, რომ კანონპროექტით დადგენილმა რეგულაციებმა პრაქტიკაში განხორციელება ჰპოვოს, აუცილებელია სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გაძლიერება ადამიანური რესურსებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ეს დეპარტამენტი იქნება პასუხისმგებელი საწარმოების შემოწმებაზე, პრევენციის ღონისძიებების შეთანხმებაზე, ზიანის კატეგორიის დადგენაზე, გამასწორებელი ღონისძიებების შეთანხმებაზე, მისი შესრულების ზედამხედველობაზე, რაც დღეს დეპარტამენტში არსებული რესურსებით წარმოუდგენელია. შესაბამისად, აუცილებელია დეპარტამენტში არსებული ორი - გარემოს ინტეგირირებული კონტროლის სამსახურისა და ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის გაძლიერება ახალი კადრებით (სულ ჯამში - 18 ახალი საშტატო ერთეულით), ასევე, ახალი სტრუქტურული ერთეულის - ღონისძიებათა შემუშავების სამსახურის (დამატებით 19 საშტატო ერთეული) შექმნა, რომელიც გამასწორებელი/სარემედიაციო ღონისძიებების შეთანხმების/ადგილზე სიტუაციის შესწავლის პროცესებში იქნება ჩართული, ასევე, საჭირო იქნება დეპარტამენტის რეგიონული სამსახურების გაძლიერება (დამატებით 28 საშტატო ერთეული). ასევე სამსახურების საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო იქნება ავტომანქანების, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარის შეძენა, ასევე, გარკვეული მომსახურების წლიური ხარჯების გათვალისწინება, რაც დაახლოებით, ერთი მილიონ 928 ათას ლარის ფარგლებშია გათვალისწინებული. ჯამში სულ საუბარია 3,029,528.0 ლარის გამოყოფაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქვე მხედველობაშია მისაღები „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 58[2] მუხლი (გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების დროებითი წესი), რომელიც განსაზღვრავს, რომ „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმებით, **ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონის პროექტის მომზადებისას გარემოსდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებული პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებები, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში, უნდა გაიზარდოს არანაკლებ წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების 5%-ით“.**

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2019 წლის პირველი იანვრიდან, შესაბამისად, მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გაძლიერებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხების გამოყოფა, რადგან პრიორიტეტულობის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანია ქვეყანაში სწორი გარემოსდაცვითი მმართველობის ჩამოსაყალიბებლად გამართული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის არსებობა და აღსრულების სათანადო მექანიზმების დანერგვა, რაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გაძლიერების გარეშე წარმოუდგენელი იქნება.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. მოქმედი კანონმდებლობით, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, პირს ეკისრება **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, შესაბამისი ჯარიმა, ასევე, გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის დაანგარიშებული თანხის გადახდის ვალდებულება და ზიანის აღმოსაფხვრელად/შესარბილებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება, რაც საქმიანობის განმახორციელებლისათვის მრავალმხრივი ხარჯის გაღებას გულისხმობს და საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს კერძო სექტორს, მითუმეტეს ეს იმ პირობებში, რომ არსებული ზიანის დაანგარიშების მეთოდიკა და ფორმულები არის ძალიან არაადეკვატური და ხშირად საქმიანობის სუბიექტს ეკისრება მილიონებით თანხები, რომელთა ამოღებაც პრაქტიკულად დროში იწელება და საწარმოს გაკოტრებაც შეიძლება გამოწვიოს.** კანონპროექტის მიღების შედეგად, საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ჯარიმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის და გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება, რითიც მას ფინანსური ტვირთი შეუმსუბუქდება, რადგან გამასწორებელი ღონისძიებები დროში იქნება გაწერილი და მისცემს საშუალებას კერძო სამართლის სუბიექტს იმგვარად დაგეგმოს თავისი ბიუჯეტი და შემოსულობები, რომ დროში გაწერილ ვადებში ეტაპობრივად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზიანის პრევენციის მექანიზმის შემოღება ასევე შეამცირებს საქმიანობის განმახორციელებლის ხარჯებს, გამომდინარე იქიდან, რომ ზიანის დადგომის გარდაუვალ საფრთხეზე დროული რეაგირებისას, თავიდან იქნება აცილებული ზიანის დადგომა, რომლის გამოსწორებაც უფრო დიდ მასშტაბებთან და თანხებთან არის დაკავშირებული.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შეესაბამება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივას.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ)კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.